მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რიჩარდ გიგანის თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N1

ქ. მარნეული **25.09.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: რიჩარდ გიგანი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა-თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების:თამარისი,ალავარი,დიოკნისის მოსახლეობა,ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან,მედიასთან,არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი ,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გიორგი ჩაჩანიძე

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის რიჩარდ გიგანის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა რიჩარდ გიგანმა შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (თამარისი,ალავარი,დიოკნისი)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო თამარისის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ თამარისში განხორციელდა რიტუალების სახლის მოწყობა–მოპირკეთება,ძიუდოს სპორტული დარბაზის მშენებლობა, 3 ერთეული მოსაცდელის მოწყობა,სასაფლაოს შემოღობვა და სკოლის საპირფარეშოს სკოლის შენობაში მოწყობა განხორციელდა.სოფელ ალავარში გარე განათება

გაკეთდა.სოფელ დიოკნისში გარე განათება და გზების მოხრეშვის სამუშაოები განხორციელდა.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი თამარისის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სარიტუალო დარბაზის მოწესრიგება,საბავშვო ბაღის გაფართოვება,სკოლისთვის კომპიუტერების შესყიდვა,სარწყავი არხების გაწმენდა – რეაბილიტაცია,მინი სპორტული მოედანი და ამბულატორიის მშენებლობა დასახელდა.

სოფელი ალავარის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;შიდა გზების მოასფალტება,სარწყავი არხის გაწმენდა და საძოვრების მოსარწყავად არხების გაჭრა დასახელდა.

სოფელი დიოკნისის მოსახლეობამ მთავარ პრობლემად;სასმელი წყლის რეაბილიტაცია(არსებული ჭაბურღილიდან ამოდის მარილიანი წყალი,ჭაბურღილი 50 მეტრის სიღრმისაა, საჭიროა ჭაბურღილის დაღრმავება, შიდა ქსელი არსებობს ცენტრალური მაგისტრალით წყლის მოყვანაა საჭირო),საბავშვო ბაღის მშენებლობა,შიდა ქუჩების მოასფალტება და ამბულატორიის მშენებლობა დასახელდა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,თამარისის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის რიჩარდ გიგანის გაწეული მუშაობის ანგარიში.